საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.
რაიონს გარეშე 60 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

№ 403 1918 წ. კვირა. დეკემბერი 8. № 403

ინგლისი გერმანიის ახალმშენებს თხოულობს, საზავო დელეგაციის თამჯდომარედ თვით ვილჰელმი იქნება. სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ გერმანიაში შიმშილობა არაა. ჩერჩელის აზრით ინგლისმა ჰელ-ჰელანდი არ უნდა მოითხოვოს. ინგლისში რკინის გზების ნაციონალიზაცია გამოცხადდა.

ივანე და ნიკოლოზ ანდრიას ძენი, ნინო ბესარიონის ასული და დარია ვასილის ასული ყიფშიძენი აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ კვირას, დეკემბრის, 8 მეორმოცე დღეს, მათი საყვარელი დის

ანეტა ყიფშიძის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე პანაშვიდი 12 საათზე. 2520

გულმოკლულნი მშობლები: პარასკევა და იოსებ, ბებია ნინო, დები: მანიკო და თიკო და ძმა ირაკლი ბოძაშვილები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, დეკემბრის 12 (ახალი სტილით) ქ. თელავში იქნება გადახდილი ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასის მეოთხე კლასის მოწაფის

თამრო ბოძაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა იქნება გადახდილი ხვთაების ეკლესიაში, პანაშვიდი კი ქალაქის სასაფლაოზე, მის საფლავზე. 2529

გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დარო და მათე იანქოშვილები შვილებით: ბაბო, ელისო, თამარო, ნუნუ და თებზიკო თავიანთი ძვირფასი და დაუვიწყარი სიძის

ვახტანგ იერემიას ძის გულისაშვილის

გარდაცვალებას სოფელ გიორგიწმინდაში, ნოემბრის 27, რომლის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქნება პანაშვიდი კვირას, დეკემბრის 8 ქვაშვეთის ეკლესიაში წირვის შემდეგ. 2533

კვირას, დეკემბრის 8 დღის 12 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ სოფ. გიორგიწმინდაში

მარიამ |მარშალა| გიორგის ასულის

და მისი შვილის ექიმ

ვახტანგ იერემიას ძე გულისაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ პირველის მეუღლე და მეორის მამა იერემია დიმიტრის ძე, პირველის შვილი და მეორის ძმა მიხეილ იერემიას ძე, პირველის რძალი და მეორის მეუღლე პატარა შვილებით ქეთევან მათეს ასული გულისაშვილები. 2533

ქვრივი მარიამ გიორგის ასული და ქალი თამარი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ წლის წირვა დაუვიწყარ ქმრის და მამის

სერგო გიორგის ძის შერმაზანოვის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება კვირას, დეკემბრის 8-ს (25 ნოემბ.) ხოჯივანქის სასაფლაოს ეკლესიაში. პანაშვიდი გადახდილ იქნება განსვენებულის სასაფლაოზე დასაწყისი 11 საათზე. 2518

დარჩო დივანოვი მეუღლით ეკატერინე გიორგის ასულით და არტაშ მიქელოვი მეუღლით სათენიკ გიორგის ასული იუწყებიან, რომ წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარ ქვისლის

სერგო გიორგის ძე შერმაზანოვის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება კვირას, დეკემბრის 8-ს (25 ნოემბ.) ხოჯივანქის სასაფლაოს ეკლესიაში. პანაშვიდი გადახდილ იქნება განსვენებულის სასაფლაოზე დასაწყისი 11 საათზე 2518

გულდათუთქულნი: მამა ივანე დიმიტრის ძე, ძმა ნიკო ივანეს ძე, დები: ანნა და სონია, რძალი ნინო სიხარულიძენი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ საყვარელი

სტუდენტის ვასო სიხარულიძის

გარდაცვალებას ქ. ტფილისში დეკემბრის 6-ს. დაკრძალვა მოხდება ქალ. ხაშურში დეკემბრის 11-ს დილის 10 საათზე 2538

ბიძა მიხეილ და მარიამ ახმეტელაშვილები, ქალი მათი თამარი, ს ძე ვლადიმერ ვეფხვაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, დეკემბრის 8-ს გადახდილ იქნება წმინდა ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში 40 დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ

ტასო გაბრიელის ასული ახმეტელაშვილის

(პატარა ტასიკოს) სულის მოსახსენებლად პანაშვიდი დაიწყება 12 ს. 2540

ღრმად დამწუხარებული: ხაშურის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი აუწყებს გვარდიელებს და მოქალაქეებს, რომ ქ. ტფილისში, 6 დეკემბერს—ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გვარდიის საუკეთესო წევრი

სტუდენტი ვასო სიხარულიძე

დაკრძალვა მოხდება ქ. ხაშურში, დილის 10 ს.—11 დეკემბერს 2538

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ისონი, დედამთილი მართა, მამამთილი ივანე, მაზლი ავქსენტი გელბახიანები და მული ლია კაველაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

მინადორა და მისი შვილის ანასტასია გელბახიანების

სულის მოსახსენებლად დანიშნულია დ. საჩხერეში 10 დეკემბერს 25 2

ქვრივი ბარბარე თეიმურაზის ასული გედევანიშვილისა შვილებით ულრმეს მადლობას სწირავს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომელთაც ანუგეშეს და პატივი სცეს ჩემ გარდაცვალებულ ქმრის

ლუარსაბ მერაბის ძე გედევანიშვილის

დაკრძალვის დროს. განსაკუთრებულ მადლობას უძღვნი ტფ. წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს უხვი დახმარებისათვის. 1430

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე გიორგი გლახუნის ძე და შვილი ლილი გოგოტიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ დეკემბრის 6 ქ. ტფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი სახალხო სკოლის მასწავლებელი

ნინო იასონის ასული გოგოტიშვილისა

ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან (პუშკინის ქ. № 4) ტფილისის სადგურზე დანიშნულია დეკემბრის 7-ს ნაშუადღევის 2 საათზე. დაკრძალვა მოხდება გურიაში, სოფელ ვაკიჯვარის წმინდა კვირიაკეს ეკლესიის გალავანში დეკემბრის 10. დილით სამშაბათს. 2532

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ავქსენტი, დედამთილი მართა, მამამთილი ივანე და მაზლი იასონი გელბახიანები და მული ლია კაველაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

თამარ ალექსის ასული და მისი შვილის ალექსი გელბახიანების

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება დ. საჩხერეში სამშაბათს, 10 დეკემბერს 2542

გულმოკლულნი ელენე და სანდრო (სანგანიძე) გძელიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ კვირას ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უძვირფასესი მეგობრის

ანეტა ყიფშიძის ასულ[illegible]

სულის მოსახსენებლად 1546.

კვირას 8 დეკემბერს დანიშნულია დიდუბის ეკლესიაში ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ვასილ [ვასო] მიხეილის ძის ჯაფარიძის

სულის მოსახსენებლად რასაც უწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ქვრივი ოლღა ჯაფარიძისა და ძმები განსვენებულისა გრიგოლ და ვანო ჯაფარიძენი. 2543.

მშობლები ევგენია ზაქარიას ასული და ანტონ მიხეილის ძე დოლაბერიძეები შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ დაუვიწყარ შვილისა და დის მე 6 გიმნაზიის მოწაფის

ქეთევანის |ქეთუშა|

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო მისი სულის მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ავლაბრის წმინდა მარინეს ეკლესიაში დღეს, დეკემბრის 8-ს წირვა დაიწყება დილის 10 საათზე ხოლო პანაშვიდი 11 ნახ. საათზე 2547.

წარმოდგენა **სახელმწიფო თეატრი** № 2

ორშაბათს, დეკემბრის 9-ს, 1918 წ.

„კავშირი“-ს დასის მიერ მეორედ წარმოდგენილი იქნება საქველმოქმედო მიზნით ა. სუმბათიშვილის ისტორიული ლეგენდა

ღალატი

5. მოქ თარ. გრ. ყიფშიძისა.

მსახიობნი ქალნი: ანდრონიკაშვილი ელ. დავითაშვილი ნინო, ლეჟავა ოლ. ჩერქეზიშვილი ელ. ჯავახიშვილი ნატ. ვაჟნი: აბაშიძე ვასო, ბარველი ივ. გვარამაძე ნიკ. გუნია ვალ. დადიანი შ. არადელი იმხნელი გ. ციციშვილი ნ. ძნელაძე დ. დასაწყისი სალამოს 7 ს ადგილების ფასი ხელმისაწდომია.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში, დირექცია მსახიობთა კავშირის საბჭოსი.

მზადდება: „მთის ზღაპარი“, „სინათლე“, „ანტიგონე“.

რეჟისორი შალვა დ დიანი. 1427 თანაშემწე ალ. გუგუშვილი.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

კვირას, დეკემბრის 8-ს, დილით

შვამბერგის, მარკოვის, მოლჩანოვის და ისეცკის მონაწილეობით

ჟიდოვკა

სალამოთი საბანეევას, ორლის და ზალიპსკის მონაწილეობით **ლაკმე** დასაწყისი სალამოს 7 ნახ. საათზე.

სამშაბათს დეკემბრის 10-ს, ალეშკოს, მოროზოვის, კანშინის, ორლასდა ისეცკის მონაწილეობით **აიდა**.

ოთხშაბათს, დეკემბრის 11-ს, საბანეევას, ზალიპსკის და ნიკოლსკის მონაწილეობით **მოლფანის ზღაპრები**

ხუთშაბათს, დეკემბრის 12-ს, **სახალხო გვარდიის** დღე 1) **პაიაცები**, 2) **რიგოლეტო**, 3) **ბალეტი**. 1397

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“

დღეს, კვირას, დეკემბრის 8-ს 1918 წ.

დემ. კლ. არს. ქარს. სახ. წარ. მმარ. წრე

მართავს მორიგ წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება

ორი დარაჯი

დრამა 3 მოქმ თარგ. ფ. ქორიძისა

ბილეთების ფასი სახალხოა ბილეთები იყიდება თეატრის კასაში სალამოს 5 ¼ ს.

რეჟისორი: ფრანგიშვილი. ◆ დასაწყისი სალამოს სრულს 7 საათზე.

2539 ჭარ. წარ. მმარ. წრის გამგეობა.

ტფილისი, დეკემბრის 8.

რას ნიშნავს? საქართველოს დამოუკიდებლობის ექვსი თვის შესრულება საქართველოს დემოკრატიამ და ყველამ, ვისთვისაც კი საქართველოს და ქართველობის სიცოცხლე ბუნებრივი მოვლენაა, დიდი ზეიმით გადახადა. ჩვენთვის საინტერესო იყო გაგვეშინჯა ჩვენი საზოგადოებრივი მაჯისცემა დამოუკიდებლობის შესახებ, მაგრამ არა ნაკლებ საყურადღებო იყო გაგვეგო, თუ რამდენად შეიცვალა ჩვენი დამოუკიდებლობის მტრების პსიქოლოგია წესიერების აღდგენის და სახელმწიფოებრივობის დამყარების შემდეგ.

იმ ერების ძალები, რომელნიც მტრულად შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას ექვსი თვის თავზე ექვსი თვის შემდეგ ისევე მტრულად განწყობილნი დარჩნენ. არც წესიერების შექმნამ, არც სამართლის ჩამოყალიბებამ, არც ლოიალიზმმა ვერ მოალბო ის ხალხი, რომელიც ერთის მხრივ ხედავდა დენიკინის რეაქციას. მეორე მხრივ ბოლშევიზმის ანარქიას. გამოირკვა, რომ ამ ძალებისათვის პან-ნაციონალისტური მისწრაფება უაღრესი იდეალია, რომელიც არავითარ კონიუნქტურაში არ იხრის ქედს. ეს პან-[illegible]ისტური სულისკვეთება [illegible] არ შეცვლილა მეცხრა-[illegible] საუკუნის განმავლობაში თუმცა პავლე I-ის აბსოლიუტიზმიდან ჩვენ მივედით ლენინის სოციალიზმამდე. დიახ, ჩვენ ხშირად გვესმის ადგილობრივ რუსების მხრივ, რომ მათ ყოველივე სიკეთე სურთ საქართველოსათვის, რომ საჭიროა რუსი რუსისგან გავარჩიოთ და ერთ ტაფაში არ მოვაქციოთ მრუდი და მართალი, მაგრამ უნდა მოვახდინოთ ფაქტის კონსტატაცია: ეკატერინე მე-II, ან ალექსანდრე პირველი მეტ ქათინაურებს გვიძღვნიდნენ გზა და გზა ვიდრე ეხლანდელი დელეგატები რუსებისა თუმცა ამათ ხან სოციალიზმის ქურქი აქვთ წამოსხმული, ხან დემოკრატიზმის და ხან ლიბერალიზმის.

ჩვენ გვინდა აგვიხსნან ვისაც ეს ეხება რას ნიშნავს თუ არა ჩვენდამი უსამართლო მტრობას ის გარემოება, რომ ტფილისში რუსის სამღვდელოება თავის წარმომადგენელს გზავნის ბაქოში უცხო სახელმწიფო ძალასთან, რათა საქართველოში საეკლესიო საკითხების გადაწყვეტაში, ესე იგი ჩვენს საშინაო საქმეებში, ჩაერიონ უცხოეთის ძალა? ტფილისში არსებული რუსთა ეროვნული საბჭო ცხარე პროტესტით გაუმასპინძლდა საქართველოს მთავრობას—რისთვის?—იმიტომ, რომ რუსის ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელის გაგზავნა სურდა ბათომში ცნობილ დელეგაციის შესახვედრად, სათათბიროდ! ვინ არის ეს ეროვნული საბჭო ტფილისში, რომ სახელმწიფოებრიობას იჩემებს, სახელმწიფო დელეგაციასთან აპირებს ფორმალურ-ოფიციალურ მოლაპარაკებას და როცა ამ დონკიხოტებს მთავრობა ღირსეულ პასუხს აძლევს და თავის პირდაპირ მოვალეობა-დანიშნულებას აგონებს—ეს საბჭო პროტესტით გვიმასპინძლდება, გვებრძვის და გვაწბილებს. რომ მოვიგონოთ, რომ ამ საბჭოს მესვეურობენ რუსის სოციალისტ-რევოლიუციონერები, რომელნიც დღემდე დენიკინებთან მხოლოდ ლითონით და დინამიტით აწარმოებდნენ ლაპარაკს. გვიკვირს, რა მოხდა ისეთი, რომ დღეს რეაქციის მოციქულებთან

12 დეკემბერი = სახალხო გვარდიის დღეა
(ძველი სტილით 29 ნოემბერი)

დღეს ლატარიის დღეა!

განცხადება

სამხედრო განყოფილება საქართველოს სახაზინო რკინის გზისა ამით აცხადებს, რომ დეკემბრის 16-ს 1918 წ. (ახ. სტ.) დილის 10 საათზე დანიშნულია შემდეგ სადგურებზე:

ტფილისის სადგური, მთავარ სამხედრო საწყობში 3196 ტომარა.
ხაშურის სადგური, მასალის საწყობი 2196 ტომარა.
სამტრედიის სადგური, მასალის საწყობი 4231 ბოჭკა და 4200 ტომარა.
ფოთის სადგური, ლიანდაგის სამსახურის პირველ უბნის საწყობში 1300 ბოჭკა.

ყველა ცნობების მიღება ამის შესახებ შეიძლება მთავარ სამმართველოში სამხედრო განყოფილების უფროსთან ყოველ დღე დილის 9 საათ. 3 საათ.

1429.

1919 წლის იანვრიდან გამოვა დიდი (300—400 გვ.) ყოველ-თვიური სალიტერატურო-სამხატვრო, სამეცნიერო, საკოოპერაციო და საპოლიტიკო ჟურნალი:

„შვიდი მნათობი“

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილნი ლიტერატორები, მხატვრები, კოოპერატორები, პოლიტიკოსები და მეცნიერნი.
გამომცემლობა ამიერ-კავკასიის კავშირისა. 1431.

ტფილისის კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიის სამრევლო საბჭო საყურადღებოდ ხსენებულ ეკლესიის მრევლისა აცხადებს, რომ, 8 დეკემბერს, ადგილობრივ სკოლის შენობაში დანიშნულია არჩევნები შტატის დიაკონისა და ორი მედავითნისა და სთხოვს ამ მრევლს მობრძანდეს დანიშნულ ადგილას შუადღის 12 საათზედ არჩევნების მოსახდენად. 2541

ქართველ ინჟინერთა და ტეხნიკოსთა ამხანაგობა

იღებს პროექტების და ხარჯთ-აღრიცხვების შედგენას, აგრეთვე ყოველგვარ სატეხნიკო სამუშაოს, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში.
მისამართი: ტფილისი, ვერის დაღმართი № 12. 2546

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)
დღეს, 1918 წ. დეკემბრის 8-ს

ორი სადღესასწაულო წარმოდგენა

პირველ ხარისხოვანი პროგრამა ყველა გასტროლიორი და სამი უშმაკი, იაპონელთა დასი. ტფილისელი კინტო [illegible] ვლადიმიროვი, კომიკოსები [illegible] ჭიდაობა. დიდის წარმოდ[illegible] 3 ს. მიდიობენ: 1 ცერიძე და ქუ[illegible] [illegible] მერეული და სხვ
დაუკრავს ზურნა, [illegible] 2535

თუ გინდათ [illegible] „ისპანკა“ სვით კონიაკი

ა. ბ. ბარბიხა.
თუ გინდათ რომ ავადმყოფობის შემდეგ თქვენი ჯანმრთელობა ისევ დაუბრუნდეთ. მოითხოვეთ პორტვეინი და მუსკატი. ძმ. გუმელიხა.

იბეჭდება და მალე გამოვა
ინჟ. ვ. ქაქაბაძის წიგნი

„მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში“.

2545

სოციალისტ-ფედერალისტთა კლუბში

(ლორის-მელიქოვის ქ. № 1).

შალვა ნუცუბიძე

კითხულობს ლექციას:

სოციალიზმი, როგორც ზნეობრივი იდეალი

დასაწყისი საღამოს 7 ს
დასწრება არა პარტიის წევრთაც შეუძლიათ. ბილეთების ფასი მანეთ ნახევარი. 1433

დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის დეკემბრის 15-ს დანიშნულია საზოგადო კრება ზემოაღნიშნული საზოგადოებისა. 1426

მარჯვნივ, მარცხნივ ლაქებენ გასავლელ ხვრელებს და იდუმალ მოლაპარაკებით აკეთებენ სოციალისტურსა და დემოკრატიულ საქმეებს.

დიახ, საქართველოს ექვსი თვის დამოუკიდებელი არსებობა ღირსეულად აღნიშნა ტფილისის რუსის სამღვდელოებამ ერთის მხრივ, ხოლო ტფილისში არსებულმა რუსის საბჭომ მეორეს მხრივ. მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გაგვიგია, როდემდის უნდა აწარმოვონ ამ პირებმა და დაწესებულებებმა საქართველოს წინააღმდეგ ყოვლად დასაგმობი მოქმედება და როდის უნდა მოეღოს ბოლო რეაქციისაკენ მოწოდებას და ანარქიის შექმნისთვის მუშაობას. რუსის დახავსებულ ელემენტების სისინს არ შეუძლიან სამარის გათხრა, მაგრამ მოთმინების ფიალასაც საზღვარი აქვს, ვინაიდან ხსენებული მოქმედება საზარალოა არა მარტო ჩვენი საშინაო ცხოვრებისათვის, ის უფრო საზარალოა სხვა ერის ძალებისათვის, რომელნიც ცხოვრობენ საქართველოში.

ძველი და ახალი თეატრი

ქართული თეატრის საქმე ისევ მოუწყობელია. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ როგორც ვამბობდით ამას წინად, ჩვენი ერი განთავისუფლდა და მოსალოდნელი იყო, ეს გარემოება ხელს შეუწყობდა ჩვენი კულტურის ამოძრავებას საერთოდ და თეატრის აღორძინებას კერძოთ. ბოლოს და ბოლოს ხომ ყოველს პოლიტიკურს და სოციალურს ცვლილებას იმდენად აქვს ფასი, რამდენად გამოიწვევს ადამიანის სულიერ ძალების განვითარებას.

ყოველს ეჭვს გარეშე, ეს ასეც იქნება. ეროვნება, ეროვნული თავისუფლება ყველგან და ყველასათვის განვითარების უდიდესი ფაქტორია, მით არის სასურველი და სატრფიალო და ამ პირდაპირ გარდაუვალ კანონს დავემორჩილებით ჩვენც. მაგრამ ჯერჯერობით ჩვენი ცხოვრება კიდევ ვერ შეგუებია განხილულ ფორმებს, თავისუფლების ენერგია ჯერ კიდევ არ დაუვლია ჩვენს ძარღვებში და სავსებით არ გვიგრძნია მისი ცხოველმყოფელობა. ბევრი რამ ჩვენის ბუნებისა ჯერ ისევ ძველის გზით მიდის, ძველს ინერციას მისდევს. ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის, ვიდრე ახალ წყობილებასთან შეთვისებული შემოქმედება სათანადოდ გაშლიდეს ფრთებს და გაცხოველებულ სხივებს მიაფენდეს ეროვნულ არსებობის ყოველ დარგს და მოვლენას.

ამით აიხსნება უმთავრესად დღევანდელი ჩვენი თეატრის მდგომარეობა. ჩვენი სასცენო ხელოვნების მაჯა სუსტად სცემს. თეატრს ვერ გამოუჩენია ძალა, ვერ ამაღლებულა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებამდის, ვერ განუცდია ერის აღდგომის გავლენა და ისევ მოდუნებულად, გაუბედავად განაგრძობს სვლას, როგორც ყოველთვის და ვერ ამეტყველებულა განთავისუფლებულის სიტყვით. მაგრამ არ იქნებოდა სწორი თუ ყველაფერს საერთო პირობებს და გარეშე მიზეზებს გადავაბრალებთ, თუ გულზე ხელდაკრეფილები შევაცქერდებით აგრე ვსთქვათ ობიექტიურ პროცესს და არ ვეცდებით, წინ შევეგებოთ კულტურის განთავისუფლებას და შეგნებულად არ დავაჩქარებთ პოლიტიკურ ეროვნულ აღორძინებასთან სულიერი, კულტურული აღორძინების მოახლოვებას.

სეზონის დასაწყისი თვეები მიდის, და ჩვენს სცენას თითქმის არც დაუწყია მოქმედება—ვიღაცას მოელოდება, რომელიც უცდის, თითქოს ვინმე სასწაულმოქმედმა ხელი უნდა ჩასჭიდოს ქართულს თეატრს და ფეხზე დააყენოს. ეს ჩვენი წინანდელი ამბავის ნაანდერძევია: ყოველი სეზონის დასაწყისში ჩვენი დრამატიული საზოგადოება და დასი გაფაციცებით იცქირებოდნენ აქეთ-იქით, აბა ვინ მოვა, და მილიონს მოგვიტანს, რომ მით სასცენო ხელოვნება ავაყვაოთო. ახლაც ესვე განმეორდა: მთელი სამი-ოთხი თვის განმავლობაში ჩვენი თეატრის მესვეურები რაღაც სასწაულს უცდიდნენ, რომელიც ყველაფერს გადაჰქრიდა, ყველაფერს მოაწესრიგებდა. ხოლო სასწაული არც დღეს მოხდა და საქმე კი ძლიერ შეფერხდა.

კარგი იქნება, თუ აწ მაინც თავს გავანებებთ სასწაულის რწმენას და ხელს მოვკიდებთ საქმიანობას, მოქმედებას, რომელიც ერთად ერთია თავდები ნაყოფიერობის. ყოვლის უწინარეს უნდა გარკვეულ იქნეს ძველი და ახალი დასის ურთიერთობა. სეზონი დაიწყო ახალმა დასმა, ორი წარმოდგენა გამართა და შემდეგ ნებით თუ იძულებით განზე გადგა. ეხლა ძველმა დასმა გამოაცხადა მოქმედების დაწყება და თუ მის აფიშებს დაუჯერებთ, ფართოდ აპირებს საქმის დაყენებას.

მაგრამ შესძლებს ძველი დასი ჩვენი თეატრის აღორძინებას? მეტად საეჭვოა. ჩვენს ძველს სასცენო მოღვაწეებს არ ძალუძთ სასცენო ხელოვნების განახლება. ამის წინააღმდეგია მათი ტრადიცია, მათი სკოლა. ისინი ვერ გადაუხვევენ იმ გზას, რომელსაც მისდევს ჩვენი თეატრი მრავალი წელიწადი. ამ გზას დავერქმევდით სცენის უსიცოცხლობას, განსახიერების გარეგნულობას, მშრალი შაბლონის გაბატონობას, მსახიობის და მაყურებლის შეუდუღებლობას. აქ ვგულისხმობთ თეატრის საერთო ვითარებას, ხასიათს და არ ვივიწყებთ რამდენსამე გამონაკლისს, რომელსაც შეადგენს ჩვენი ზოგი სასცენო ხელოვანი.

საჭიროა ახალი სული ჩვენს თეატრში, საჭიროა სიცოცხლის შეტანა, მთელი მისი მორთულობის განიავება, უნდა გამოიდევნოს იქიდან დახუთული ატმოსფერა. ეს შეუძლია მარტო ახალს მოღვაწეებს, ახალი სკოლის ადამიანებს. ეს როლი დღეს-დღეობით თავს იდვა დრამატიული საზოგადოების სტუდიამ. სავსებით მოახერხებს თუ არა ნაკისრებ საქმის შესრულებას, დანამდვილებით ვერ ვიტყვით. ხოლო მისი ხალისი, სიყვარული, უნარი თავდებია იმის, რომ პირველ გზას გაკაფავს, განახლებას დაიწყებს. ამიტომ სრულის თანაგრძნობით უნდა შევეგებოთ ჩვენი თეატრის ახალ მოღვაწეების გამოსვლას და გაუადვილოთ მძიმე მუშაობა.

დეე იყოს ძველი დასი, იმოღვაწეოს წინანდებურად—მის სამსახურს სრულებით არ უარვყოფთ. მაგრამ ამასთანავე ფართო და თავისუფალი ასპარეზი მივსცეთ ახალ დასს. მისი მოღვაწეობა უეჭველად იმოქმედებს ძველის მსახიობებზედაც და ამით დაჩქარდება ქართული თეატრის საერთო აყვავება. თავისუფალმა გაჯიბრებამ ძველსა და ახალს შორის უჩვენოს ყველას, თუ რომელ მხარეზეა მომავალი.

ხამ. ფირცხალავა.

სომხეთის თუ საქართველოს დაშნაკცუტიუნი?

ისტორიის თვალსაზრისით სომხის ერის წარსული ძალიან ჰგავს ქართულ ერის წარსულს. დიდი წარსული, კულტურულ ფაქტორების სიმდიდრე ორივე ერის დამახასიათებელი გახლდათ. ეხლაც ბევრი რამ საერთო აქვთ ხსენებულ ერებს:—მძიმე პირობები ცხოვრებისა ორივე ერის [illegible]ლას ზღუდავს და ავიწროებს. წინად ამ ნიადაგზე სომხეთსა და საქართველოს შორის დიდი მეგობრობა, ნათესაობა და სიყვარული იყო, ეხლა კი—სამწუხაროდ—სხვა გზები გაიხსნა, სხვა ინტერესი დაიბადა, ჩვენ და სომხები თუმცა ხშირად ვეფიცებით ძმობას, ამხანაგობას, მაგრამ მგლის თავზე სახარების კითხვასავით ქრება ყოველივე.

ეს სამწუხარო გარემოებაა ის ნიადაგი, რომლისთვისაც ორივე ერის პრესა ერთმანეთის კითხვას უბრუნდება, ცხარე კამათია და მაგარი სიტყვები ჩნდება ხშირად, როცა მეცნიერული კვლევა-ძიება ვერაფერს აწყობს. „ნორ ორიზონის“ პრესა კი ხედავს ჩვენს სომხეთისადმი ასეთ დამოკიდებულებაში სიძულვილს, შოვინიზმს. ზოოლოგიას. თუ მართლა არსებობს მეტყვის ძალა, გონების გავლენა, ადამიანის აზრი ჩვენ ვამბობთ: არავითარი სიძულვილი არ არსებობს სომხეთისადმი, არის მხოლოდ ინტერესთა სხვაობა, რომლის შერიგება ვერ მოხერხდა დღემდე.

რომ შეიძლებოდეს თავი გავანებოთ სომხურ საკითხს, რომ გადაიჭრებოდეს ჩვენი საკითხი უსომხუროდ, ან სომხური საკითხი გადაიჭრებოდეს უქართულოდ—სადავო საგანს ადვილად მოვშორდებოდით, მაგრამ ფაქტი შემდეგია: ისტორიის განმავლობაში ჩვენი და სომხის ერი გადაეკიდნენ ერთმანეთს და აღარ შეიძლება ამ კითხვების სეპარატიულად გადაწყვეტა. რაკი ეს ასეა, ცხადია შემდეგიც: მხოლოდ დემაგოგი თუ იტყვის, რომ პრესა იბრძვის სომხურ და ქართულ ეროვნულ ინტერესებისათვის; ეხლა ისეთი მომენტია როცა სომხეთის და საქართველოს ინტერესები სავსებით უნდა გავშალოთ და გამოვარკვიოთ.

ტფილისის „დაშნაკცუთიუნს“ ჩვენ ბრალს არა ვსდებთ რომ ისინი ხშირად უბრუნდებიან საქართველოს ეროვნულს საქმეს. მაგრამ ჩვენი მოვალეობაა ქართველ ხალხს დავანახოთ ჩვენი ეროვნული პოლიტიკის სიმართლე და სიმახინჯე დაშნაკცუთიუნისა, რომლითაც სავსეა მისი პოზიცია.

ყველასათვის თვალსაჩინო გარემოება უნდა აღვნუსხოთ: სთქვას დაშნაკცუთიუნმა სოლივით ან როგორმე ეკრება თუ არა საქართველო სომხეთის ტერიტორიას და ხალხს? ისტორიული სინამდვილეა: როგორც ლორში, ისე მართლში და ჯავახეთში მეცხრამეტე საუკუნეში სომხობა მოისწრაფის საქართველოში, ქართველობის მიდამოში ეშთაგრესაც გადმოსახლების პოლიტიკით მორბის სომხობა და აჭრელებს საქართველოს პოლიტიკურ, ეთნიურ და ეკონომიურ მთლიანობას. ამნაირად, სომხის ერი სომხეთიდან და დღეს საქართველოში არის ერი თავდამსხმელი, აგრესიული, ხოლო ქართველობა კი თავდამცველი, მოგერიების მწარმოებელი და ასეთ როლში რამდენადმე დაჩაგრული, ჩვენ მოვითხოვთ დაშნაკცუთიუნისაგან ამ ძირითად დებულების ციფრებით (დემოგრაფიით) და ფაქტებით (ისტორიულ არგუმენტებით) დარღვევას.

ტენდენცია სომხის ერის განვითარებისა არის ტენდენცია სპარსეთის და ოსმალეთის მიტოვებისა, ტენდენცია ადერბეიჯანისა და საქართველოში შემოსვლისა, ამის და მიხედვით სომხობის კულტურული ცენტრი გადმოდის ჩვენს ქვეყნებში და დღეს დაშნაკცუთიუნს სურს ამ შემოსავალს, საქართველოს
ფილ და არსებულ მთლიანობას პ
ტიკური საფუძველი მოუპოვოს,
ძოლოს და არად აქციოს საქა
ლოს დამოუკიდებლობა.

სომხებმა დღეს ნიღაბი აიხადე
პირდაპირ გვეუბნებიან: ჩვენ არ
არ უარვყოფთ საქართველოს დამო
დებლობას, ამ ჟამად თვით სომხ
დამოუკიდებლობასაც არა ვსცნობ
დღემდე ეს დიდმნიშვნელოვანი განცხ
დება არ გვსმენია სომხობიდან, ხოლო
ეს სავსებით გამოხატულია „ნორ-ორი
ზონის“ პირით. ეს განცხადება სრული სიმართლეა. სომხობის დამოუკიდებლობა ნიშნავს იმის დაკვრას, გამაგრებას, ფიქსაციას, რაც დღეს სომხობას აქვს მაგრამ—როგორც ვსთქვით—სომხობის საქართველოსაკენ შემოსვლის აშკარა ტენდენცია აქვს და ეს ტენდენცია ჯერ რაც არ არის დასრულებული; რაკი აგრესიული სვლა არსებობს, რაკი ეროვნულ ტერიტორიის შექმნა და გადართვება არ დასრულებულა ამიტომ ის, რაც სომხობას გააჩნია სომხობას არ აკმაყოფილებს, მისი ფიქსაცია არ უნდათ და ამიტომ ებრძვიან ბრძოლას. ამნაირად დღეს სომხობის პოლიტიკა არის პოლიტიკა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობის, რაიც ნიშნავს საქართველოს ეხლანდელ საზღვრების დაკეტვას, დაცვას. და მაშინ როცა საქართველოს დაკარგება ობიექტი დამოუკიდებლობისათვის, როცა საქართველოს სავსებით შესჭამს სომხური აგრესიზმი, მაშინ დადგება დაშნაკცუთიუნისათვის ის სანეტარო დრო, როდესაც სომხის ერის დამოუკიდებლობა სანატრელი იქნება ყველა სომხისათვის. ამნაირად დაშნაკცუთიუნის და სომხის ერის პოლიტიკა ამ ჟამად ემყარება არა ყველა ერის დამოუკიდებლობას და სიცოცხლეს, არამედ თავის ერის დამოუკიდებლობის სხვა ერის დამოუკიდებლობის მოსპობით. აი ეს ჯოჯოხეთური აზრი ბუდობს დაშნაკცუთიუნის ეროვნულ შემოქმედებაში და ამ ჯოჯოხეთის აზრის სამართლის სამოსელში ხვევენ „ნორ ორიზონში“.

მიზანი სომხის ერის დღევანდელ პოლიტიკისა თავისთავად გულშემზარავია, ამ პოლიტიკის დასახასიათებლად ცეცხლის მფრქვეველი სიტყვები არ არის საჭირო, მაგრამ ჩვენ მაინც არ შეგვიძლიან კიდევ სხვა ფაქტი არ აღვნუსხოთ. სომხობას უნდა თავის ძალებ ტერიტორიალურად, ეთნიურად და ეკონომიურად თავს მოუყარონ, მაგრამ ვიკითხოთ: რად იფანტებოდა ეს ერი მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეში? დღევანდელი ერევანი ისტორიის უკანასკნელ ხანაში იყო სპარსეთის ხანების საბუდარი, ხოლო ლორში და საერთოდ საქართველოში სომხობა გამრავლდა იმდენად, რამდენადაც დაცალიერდა ოსმალეთის და სპარსეთის სომხერი ადგილები. პირდაპირ საოცარია დაშნაკცუთიუნის პლანი: სომხობა დაიფანტა თავის ნებით და ეხლა ამ დაფანტულ ერს სურს უმრავლესობის როლი ათამაშოს ოსმალეთშიც, სპარსეთშიც.

ადერბეიჯანსა და საქართველოშიაც. საკვირველია რომ დაშნაკცუთიუნის დონკიხოტები რუმინიის და ამერიკის სომხებს არ ურჩევენ რუმინიაში და ამერიკაში პოლიტიკურად გაბატონებას!

განავები და თვით სომხობისათვის მისანშეწონილი იქნებოდა შემდეგი პოლიტიკა: დაეტოვებიათ სომხებს რუსეთის საზღვრები, რუმინიაც, ამერიკაც, რამდენადმე სპარსეთიც და იქ მოკალათებულიყვნენ სადაც რაიმე ძალას წარმოადგენენ, მაგალითად ოსმალეთში, ნამდვილად კი ყველგან უმცირესობა სომხობა არსებითად ეროვნულ პოლიტიკას ვერსად ვერ აწარმოებს და იგი ვერი გამოდის არა მძლავრ სახალხო მოძრაობის მეთაურად, არამედ ინსურგენტების როლში. სომხის ერის ტრაგედია სწორედ აქედან მიმდინარეობს. სომხები დღემდე ინსურგენტები იყვნენ ოსმალეთში, სპარსეთში, ამიერიდან ისინი ინსურგენტებად ხდებიან ადერბეიჯანსა და საქართველოში, ხოლო ჩვენ გვიკვირს, ნუ თუ სომხობამ არ იცის ასეთი მდგომარეობა რაოდენ დამღუპველია თვით სომხის ერისათვის?

ასეთია სომხეთის მდგომარეობა, ეს იცის საზოგადოდ დაშნაკცუთიუნმა, მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ: გამოაცხადოს გულწრფელად დაშნაკცუთიუნმა, რომ ის ინსურგენტების პარტიაა.

საქართველოში რესპუბლიკის მთავრობა არა სცნობს ინსურგენტებს, ქართველი ინსურგენტები მთავრობამ გასრისა და უეჭველია ასევე მოეპყრობა უცხო ტომის ინსურგენტებსაც. მაგრამ ჩვენ გვინდა გამოვარკვიოთ: სომხობა თუ ადგია აგრესიზმის ნიადაგს და ინსურგენტობით ფიქრობს მრავალ სახელმწიფოს ნიადაგზე აგოს თავისი სახელმწიფო, საქართველოში მოქმედი დაშნაკცუთიუნი და „ნორ არიზონი" სავსებით იზიარებს თუ არა „მეტროპოლია" სომხების პოლიტიკას? ჩვენ გადაჭრით ვაყენებთ საკითხს: რა გარჩევაა ოსმალეთში ან ერევანში მოქმედ დაშნაკცუთიუნსა და საქართველოს დაშნაკცუთიუნის შორის? თუ ერევნის და ტფილისის ინტერესები სხვა და სხვაა საზოგადოდ არის თუ არა სხვა და სხვა ერევნის და ტფილისის დაშნაკცუთიუნების ინტერესები სხვა და სხვა?

საქართველოს დაშნაკცუთიუნმა უნდა სთქვას, რომ ის სავსებით ანვითარებს უცხო ქვეყნის სომხის ერის პოლიტიკას, ნამდვილად უარყოფს ჩვენს პრეტენზიებს სომხებთან და ნამდვილად ეს პარტია არა თუ არ უნდა იყოს საქართველოს პარლამენტში, არ უნდა იყოს თვით საქართველოშიაც, რამდენადაც საქართველოში შეიძლება ის იყოს, ვინც ხელსის და პატივსა სცემს საქართველოს.

თედო ღლონტი.

გერმანული ცნობები.

ევაკუაცია და კრონპრინცი რუპრეხტი.

გერმანული პრესა. 5 დეკემ. აღმოსავლეთის ოლქების ევაკუაცია გრძელდება დვინიაში ჩვენი ჯარი ამ ჟამად დვინის იქით გადადის. გერმანიის ჯარები სევასტოპოლიდან ნიკოლაევში ზღვით მიდის, რათა უკეთეს რკინის გზით ისარგებლოს. შეთანხმების სახელმწიფოთა საზღვაო ძალა სევასტოპოლში იმყოფება. ბავარიის საბჭოს ცენტრის პარტიის მიუნხენის ორგანო სწერს, რომ ბავარიის კრონპრინცი რეპრეხტი დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგაც განაგრძობდა თავის ჯარით სვლას და ამ ჟამად ბავარიის ერთ-ერთ ძველ ციხეში იმყოფება, ყოფილი ბავარიის კრონპრინცი ბევრ პოლიტიკურ და სამხედრო საკითხებში და განსაკუთრებით ზავის ჩამოგდების საკითხში, არ იზიარებდა არმიის მთავარსარდლების აზრს. მაგალითად კრონპრინცი, განსაკუთრებით ამ წლის პირველ თვეებში ზავის მომხრე იყო და ამის შესახებ კანცლერმა და მეფესაც სწერდა.

ინგლისური პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

ვილჰელმის დანაშაული.

ინგლისური პრესა 5 დეკემბერი. ინგლისის ყველა გამოჩენილი იურისტი იმ აზრისაა რომ ბელგიაში დაიბეჭდა ომის წარმოების საშუალება დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს იმპერატორ ვილჰელმს და პასუხისგებაში უნდა მისცენ.

ჰელ-ჰოლანდია.

ჩურჩილმა დენდში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, საადმირალომ გადასწყვიტა, რომ საჭირო არ არის ჰელ-ჰოლანდი მოვითხოვოთ.

ნაციონალიზაცია.

მთავრობამ გადასწყვიტა რკინის გზების ნაციონალიზაცია მოახდინოს.

ახალშენები.

პეტერლინგმა ბრისტოლში სთქვა, რომ გერმანიის ახალშენები ინგლისის იმპერიას უნდა შეუერთდეს სადაც კი 1 ახალშენის მცხოვრებთ შეეკითხენ, ყველგან ამ აზრის იყვნენ.

ვილსონი.

სამშვიდობო დელეგაციის მეთაურად თვით პრეზიდენტი ვილსონი იქნება.

მაკენზენი

ბუდაპეშტიდან დეპეშები იუწყება, რომ მაკენზენის არმია 170000 კაცისაგან შემდგარი ფრანგების მოთხოვნილების თანახმად ჰუნგრეთში იქნება გადაგზავნილი.

ტიროლში.

ბრიტანიის ჯარი ტიროლში შევიდა.

ახალი ამბავი

◆ **თხოვნა მოსკოვიდან ახლად ჩამოსულ სამიც კაცს.** მოსკოვიდან ახლად ჩამოსულ სამიც კაცს უმორჩილესად ვთხოვთ თუ ვინმე რამე იცის მოსკოვში მყოფ ვარშავის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტის კოტე (იგივე კონდრატი) გიორგის ძე ვეფხვაძის შესახებ რაიმე ნუ დაიზარებენ და ამავე გაზეთის საშუალებით ან შემდეგი მისამართით: ხარაგაული, ალექი, მანჯავიძეს სახელზე შეგვატყობინონ, რითაც მისი მშობლების მწუხარებას შეამსუბუქებენ და პატივისცემით ალექსი მანჯავიძე.

◆ **დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი".** დღეს, დემ. კლ. არს. ქარ სახ. წარ. მმარ. წრე მართავს მორიგ წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება, მსახიობ ბ. ფრანგიშვილის მონაწილეობით ორი დარაჯი დრ. 3 მოქ. თარგ. ფ. ქორთძისა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

◆ **განცხადება.** გაცხადებ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ 10 ნოემბერს შემთხვევით ქუჩაში ვიპოვე 8 წლის ბავში სომეხი; შავგრემანია, მსუქანი, მოიკითხეთ ანდრეევის ქუჩა, № 58 ჯარისკაცი ერასტო ჭითავასთან.

◆ **საეთნოგრაფიო საზოგადოების კრება.** დღეს, დილით 12 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის (ქართულ უნივერსიტეტის) შენობაში მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიური კრება. განიხილავენ ა) საზოგადოების მოქმედების ანგარიშს 1917 წელს, ბ) 1917 წლის შემოსავალ-გასავლის წლიურ ანგარიშს, გ) ხარჯთაღრიცხვას 1918 წლისათვის და დ) სარევიზიო კომისიის აქტს. კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

◆ **ტფილისის საგუბერნიო კომიტეტი.** კვირას, 8 დეკემბერს, დილის 11 საათზე დანიშნულია ტფილისის გუბერნიის ჩვეულებრივი კრება.

◆ **12 დეკემბერი.** შრომის მინისტრის განკარგულებით დეკემბრის 12, სახალხო გვარდიის დღე უქმე დღედ ჩაითვლება.

◆ **ინგლისელების მისსია** ბათომიდან ტფილისს ჩამოვიდა პარასკევს, დეკემბრის 6-ს.

◆ **სახალხო გვარდიის დღე** გაიმართება ხუთშაბათს, დეკემბრის 12 ს.

◆ **რაჭა-ლეჩხუმის საზოგადოების** მთავარ გამგეობის კრება გაიმართება დღეს, საღამოს 7 ს. „სახალხო საქმის" რედაქციაში.

◆ **ვარდენ ძიძიშვილი** მთავრობის ნებართვით გაემგზავრა თელავში. ამ მაზრის ყველა სამართველოებში ადგილობრივი კომისრების და ინტელიგენციის შემწეობით იგი მოახდენს კრებებს და ურჩევს ხალხს ჟამ მოჭმული ძველი ზნე-ჩვეულების და მისგან გამოწვეულ ხარჯების გადაგდებას.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „კოოპერაციი"-ს გამოცემული იასონ გაბილაიას ნათარგმნი ზ. ლენსკის წიგნი „კოოპერატიულ ევროპაში" 41 სურათით. წიგნი შეიცავს 124 გვ. კარგს ქაღალდზე დაბეჭდილია და ღირს 15 მან.

◆ **პარლამენტში.** დეკემბრის 6-ის სხდომაზე წაკითხულ იქმნა მხოლოდ დამტკიცებული სახელმწიფო კონტროლის დებულების და შტატის საბაჟო ტექსტები. დღის წესრიგში იყო აგრეთვე კანონ-პროექტი ძვირფას კულტურის მამულებში მთავრობის რეკვიზიციისა, რომელიც მთავრობის თავმჯდომარის თხოვნით მოხსნილ იქნა დღის წესრიგიდან.

◆ **ტფილისის კუკიის სასაფლაოს წმ** ნინოს ეკლესიის სამრევლო საბჭო საყურადღებოდ ხსენებულ ეკლესიის მრევლისა აცხადებს, რომ დღეს, დეკემბრის 8-ს, ადგილობრივ სკოლის შენობაში დანიშნულია არჩევნები შტატის დიაკონისა და ორი მედავითნისა და სთხოვს ამა მრევლს მობრძანდეს დანიშნულ ადგილას შუადღის 12-ს საათზე არჩევნების მოსახდენად.

◆ 1919 წლის იანვრიდან გამოვა დიდი (300—400 გვ.) ყოველ-თვიური სალიტერატურო-სამხატვრო, სამეცნიერო, საკოოპერაციო და საპოლიტიკო ჟურნალი „შვიდი მნათობი". ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილნი ლიტერატორები, მხატვრები, კოოპერატორები, პოლიტიკოსები და მეცნიერნი. გამომცემლობა ამიერ-კავკასიის კავშირისა.

◆ **ტფილისის საეპარქიო ქალთა** გიმნაზიასთან არსებული მშობელთა წრის საბჭო სთხოვს აღნიშნულ სასწავლებლის ყველა მოწაფეების მშობლებს და მზრუნველებს აუცილებლივ დაესწრონ მშობელთა წრის კრებას, რომელიც დანიშნულია ამავე სასწავლებელში, დღეს დეკემბრის 8 ს, შუადღის 12 საათზე განსახილველია: მოხსენება საბჭოს წარსული სამოსწავლო წლის მოქმედება. საბჭოს წევრთა ახალი არჩევნები და სხვა საკითხები.

◆ **ქურდობა.** დეკემბრის 6-ს, ღამით, რიბალჩენკოს ბინა გაქურდეს და მოიპარეს 15,000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

— ალექსანდრეს ქუჩაზე გიორგი მაჭარაშვილის ბინიდან მოიპარეს პალტო, 200 მან. ფული და სხვა და სხვა ნივთები.

◆ **ნავთის გამოგზავნა.** ბაქოდან ტოლსტონოგოვმა მთავრობას აცნობა, რომ დეკემბრის 6 ტფილისში 50 ცისტერნი ნავთი გამოიგზავნა. ამ დღეებში დაიწყება ნავთის გადაქაჩვა ბათომში მოკავშირეთა საჭიროებისათვის, შემდეგ კი ტფილისშიც გადმოიქაჩება.

◆ **საწვავ-სათბობი მასალა.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წინადადებები მოსდის კერძო პირთაგან, რომ შეუძლიანთ საქართველოში შემოზიდონ მრავალი საწვავ-სათბობი მასალა—მაგრამ სამინისტროს შეუძლებლად მიაჩნია მათთან ხელშეკრულების დადება, რადგან ძლიერ ძვირად აფასებენ ვაჭრები.

◆ **ნავთი** ტფილისში ეხლახან შემოტანილი 40 ცისტერნი ნავთი შემდეგნაირად განაწილდა: საქართველოს სახელმწიფო რკინის გზებს 23 ცისტერნი, კახეთის რკინის გზას 2 ცისტერნი, ტფილისის ქალაქის თვითმართველობას 1 ცისტერნი, სამხედრო საჭიროებისათვის 1 ცისტერნი და სამრეწველო ქარხნებს 4 ცისტერნი.

◆ **განსაკუთრებული კომისია** მთავრობის განსაკუთრებული კომისიის ნაწილი ლონდონს და ნაწილი ამერიკას გაემგზავრება.

◆ **სადღესასწაულო მატარებელი.** დეკემბრის 12 ს. გვარდიის სადღესასწაულო დღეს ტფილისიდან ფოთს გაემგზავრება განსაკუთრებული მატარებელი სახელად „გმირების მატარებელი", რომელიც მორთული იქნება ყვავილებით. რკინის გზის ყველა სადგურზე გამოფენილი უნდა იქნეს დროშები ხოლო ბუფეტებისა და დუქნების ამ დღის მოგება გვარდიის სასარგებლოდ უნდა გადაიდოს.

◆ **შემოწირულება.** ექიმმა გრიგოლ მუხაძემ შესწირა ქართულ სამუსიკო თანხების გასაძლიერებლად 100 მან. რისთვისაც საზოგადოების გამგეობა უძღვნის მადლობას შემომწირველს.

◆ **თავდასხმა ყაზბეგში** შინაგან საქმეთა მინისტრს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ატყობინებს, რომ ყაზბეგში ფოსტა ტელეგრაფის საწყობს დასცხმიან შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი და გაუტაციათ საწყობიდან სხვა და სხვა ქონება.

◆ **ნავთის გადმოქაჩვა** საქართველოს მთავრობის რწმუნებული ადერბეიჯანის რესპუბლიკაში ბ-ნი ქარცივაძე დეპეშით ატყობინებს გზათა სამინისტროს, რომ ნავთი გადმოქაჩვა უკვე დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებს [illegible] და სთხოვს მოახდინოს შესაფერი განკარგულება.

◆ **შეშის მიღება** მიწათ-მოქმ. მინისტრის ამხანაგის განკარგულებით ქალაქის გამგეობამ ნება დართო მე-300—ვერსიდან მოსულ შეშის მიღებისა.

◆ **ბარგის მიღების განახლება.** საქართველოს რკინის გზათა მოძრაობის უფროსმა კახეთის ლიანდაგის უფროსებს მოწერილობა დაუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ კახეთის რკინის გზაზე ყოველგვარი ბარგის მიღება განაახლებულ იქმნეს.

◆ **ვაგონი ლტოლვილებს.** გზათა სამინისტრომ ჯავახელ ლტოლვილებს თავიანთ განკარგულებაში გადასცა ერთი ვაგონი ბარგის გადასაზიდად.

◆ **ქურდობა.** დეკემბრის 4-ს დიდი მთავრის ქუჩაზე ტ. სურიკოვის ბინა უცნობებმა გასტეხეს და მოიპარეს 5000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

◆ **ნავთი** საქართველოს მთავრობამ ბაქოს ნება დართო ჩვენს ტერიტორიაზე ბათომში ნავთია გადაქაჩვისა იმ პირობით თუ ბაქო საქართველოს საჭირო ნავთს მისცემს.

◆ **სახალხო გვარდიის დღე.** სასოფლო კომისია წინადადებას აძლევს ყველა იმ პროპაგანდისტებს რომელნიც მუშაობენ სხვა და სხვა მაზრებში, რომ მათ მიიღონ აქტიური მონაწილეობა დეკემბრის 12-ს სახალხო გვარდიის დღის მოწყობაში.

◆ **თავდასხმა.** დეკემბრის 5-ს, საღამოს, ნიკოლაევის ქუჩაზე კუდრიავცევის მაღაზიაში შევიდა რამოდენიმე შეიარაღებული პირი და გაიტაცეს 2700 მან.

◆ **ბონები.** სომეხთა წარმომადგენელმა გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტა გაუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის გრძელდება ხელშეკრულება ბონების შესახებ. ამავე დროს ბონები იბეჭდება და ნაწილდება საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის. ვინაიდან სომეხთა მთავრობამ ბონების დამატებით გამოშვებაში მონაწილეობის მიღების საკითხი დადებითად გადასწყვიტა, გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა ტფილისის სახელმწიფო ბანკმა ეხლავე გადასცეს სომხეთის ხვედრი ბონები და იგი გადმომცეს მე მაშინვე, როცა ხელშეკრულება საბოლოოდ დაიდება.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ გაზეთში დაბეჭდილ საბიბლიოგრაფიო შენიშვნაში სადაც დაბეჭდილია მაგიოგრაფიული, უნდა იყოს ჰაგიოგრაფიული.

გუშინდელ წერილში „საერობო არჩევნები დუშეთის მაზრაში" შემდეგი კორექტორული შეცდომა შეგვეპარა იქ სადაც ლაპარაკია, თუ წელს და შარშან რამდენი ხმა მიიღო სოც. დემ. უნდა ეყვეს „დღეს კი მათ 7 ათასი [illegible]." სადაც ნახსენებია ასარჩევი იყო ერთი... გამოტოვებულია სიტყვა „ქ. დუშეთში".

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კრება რაზმელებისა—კვირას, დეკემბრის 8 დილის 10-ს დანიშნულია ტფილისის სოციალისტ-ფედერალისტთა მებრძოლ რაზმელთა კრება. ვინც ამ დღეს არ გამოცხადდება იმათ ჩამოერთმევათ პარტიული ბილეთი და იარაღის ნებართვა.

—

შალვა ნუცუბიძის ლექცია დღეს, დეკემბრის 8, საღამოს 7 ს. პარტიულ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) ამხ. შალვა ნუცუბიძე კითხულობს ლექციას შემდეგ თემაზე: „სოციალიზმი, როგორც ზნეობრივი იდეალი", დასწრება პარტიის არა წევრთაც შეუძლიანთ. ბილეთების ფასი 1 მ. 50 კ.

—

საგარეჯო. ს. საგარეჯოს სოციალ-ფედერალ. სარევოლ. პარტიის კომიტეტი ამით აცხადებს ამხანაგების საყურადღებოდ, რომ საგარეჯოში დანიშნულია საორგანიზაციო კრება 15 დეკ. 1918 წ. ევალება ყველა საგარეჯოს რაიონში მცხოვრებ ამხანაგებს დაესწრონ კრება დაიწყება დილის 10 საათზედ.

ს. საგარეჯოს ს. ფ. ს. პ. ორგანი.

—

შეცდომის გასწორება. მუშათა გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტის" ხელმძღვანელ კომისიის წევრი არის გიორგი მაღრაძე და არა გ მაღლაკელიძე როგორც გუშინ იყო დაბეჭდილი შეცდომით.

† ანეტა ყიფშიძე

(გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო).

ის ჩვენი პარტიული ამხანაგი იყო, ერთგული მეგობარი დამაშვრალთა და ტვირთმძიმეთა, თავისი ერის ერთგული შვილი...

თავისი მრწამსის ერთგული მსახური და თავისუფლების მოტრფიალე.

მაღალი გრძნობის, სათნო, ნაზი, უანგარო, სპეტაკი, უწყინარი, მოსიყვარულე...

ბევრი იცნობდა მას, ბევრი... მაგრამ ძალიან ბევრს არ უნახავს და არც იცის, არ იცოდნენ და არ იცის თვით მისმა მახლობელმა ნათესავებმაც, რომ ის თავის მცირე ულუფას ჩაგრულთა და ტვირთ მძიმეთ უყოფდა ჩუმად, ფარულად, ხშირად სხვის ხელით, თვის ვინაობის გაუმჟღავნებლად. და დავრდომილს, სნეულს, როცა ის მასთანა ყოფილა, ორი-სამი დღის შემდეგ ხშირად ბალიშ ქვეშ ფული შერჩენია ხელთ და მასთან მოკლე ბარათი: „ნუ გეწყინება... წრფელის გულით არის მოძღვნილი... ეს ჩემი ჯამაგირია... ცოტა შენ-ცოტა მე... ანეტა"...

სწორედ ისე, როგორც მაცხოვარი ქადაგებდა: თუ იქმ კეთილს, დეე მარცხენიმან შენმან არა უწყოდეს რასა იქმს მარჯვენა შენი...

ბევრი იცნობდა მას, ბევრი...

მაგრამ მათგან ძლიერ ბევრმა არ იცოდა, რომ ის განსორციელება იყო სისპეტაკის, სინაზის, პატიოსნების, ერთგულებისა...

ბევრი ჰყავდა ტფილისშიაც ნაცნობები და მონათესავე. მაგრამ მისი ფაქიზი და იშვიათი ბუნება მათთვის უცნობი იყო... ეს იქნება იმიტომ, რომ უმადურმა ბედმა მისი ცხოვრება თავიდანვე ჩარხის უკუღმა ტრიალს დაუმორჩილა, მშობელს მაშინ გამოასალმა, როცა მისი ზრუნვა, ფიქრი, რჩევა, სიახლოვე მისთვის უფრო საჭირო იყო, ფრთა მოუტეხა იმ გრძნობას, რომლის წინაშე იდგა ის ფაქიზი, ნაზი, ვით წმიდა...

ის სახელგანთქმული მსახიობი არ იყო, მწერალი არ იყო, არ იყო გამოჩენილი პარტიული მუშაკი და ქველმოქმედი და მოღვაწე... ის მხოლოდ ადამიანი იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ეს ედგმის შარავანდედად მის დატანჯულ და სევდიან სახეს...

იგი გარდაიცვალა ოქტომბრის 27-ს, ისე მოეწყო გარემოება, რომ ოთხშაბათს გამოცხადებული, მოულოდნელად სამშაბათს დაასაფლავეს.

მწარედ, გულამოსკვნით სტიროდნენ ის გოგონებიც ტფილ. საეპარქიო გიმნაზიისა, რომელთ შორის მან რვა წელიწადი გაატარა და თანაგრძნობა, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა...

... და დღეს, ძვირფასო დაო და მეგობარო, იგივე მოწაფენი თვის სპეტაკ ცრემლს შენი მეგობრების წრფელ ცრემლთა ნაკადს შეუერთებენ...

იძინე, მეგობარო, იძინე დიდის გვერდით, რომლის ობოლ საფლავს მიაშურებდი ხოლმე ყოველ ჟამს, როცა კი ცხოვრება თვის შხამიან ნესტარს ისედაც დაკოდილ მკერდს მოგახვედრებდა, და იმას სთხოვდი ნუგეშსა და შველას.. შენი მეგობრების აჩრდილნიც მუდამ დარაჯად უდგებიან შენს სამარეს. დიდის [illegible] ერთად მუნ ნებაც გიმღერს საგალობელს და შენი სამშობლოს [illegible] სხივებ თ მადლს, ლამაზ [illegible] თავს შენს სამარეზე, რომელიც შენი მეგობრების ცრემლებით იქნება მოვარაყებული: სათნოებაზე.

იძინე, დაო იძინე...

ხანგანიძე.

ამხანაგებისა და ორგანიზაციის საყურადღებოდ

კვირას, 8 დეკემბერს მთელ საქართველოში გაიმართება „პირველი ქართული ლატარიის დღე"—ლატარიის ბილეთების გასასყიდად ლატარიით შეგროვილი თანხა, როგორც მოგეხსენებათ მოეხმარება ქართულ უნივერსიტეტსა და თეატრს. ლატარიის გამგეობის თხოვნის თანახმად, ჩვენი პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს ორგანიზაციებსა და ამხანაგებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ დღის მოწყობაში, დაეხმარონ ლატარიის გამმართველთ ბილეთების გაყიდვასა და ამ საქმის აგიტაციაში, რათა ღირსეულად დაგვირგვინდეს ჩვენი კულტურის ბურჯის—უნივერსიტეტისა და თეატრის საქმე.

ინგლისის დელეგაცია ფოთში.

ნოემბრის 30-ს, დილის 10 საათზე სამის ნაღმოსანით სოხუმიდან ფოთს მოვიდა ინგლისის დელეგაცია. რომელსაც თან ახლდა გენერალი ვაშაკიძე.

დელეგაციას შეეგებნენ: ქალაქის თავის მოადგილე ა. კორძაია, გარნიზონის უფროსი პოლკოვნიკი ჩხეიძე და სხვანი. კორძაიამ თავის მისალმების სიტყვაში მოკლედ დაახასიათა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და დელეგაციას გაახსენა ბათომის დღეები, როდესაც ქართველი ხალხი იდგა თავის ფიზიკურად განადგურების საშიშროების წინაშე. მან აღნიშნა, რომ ქართველი ხალხი იძულებული შეიქმნა მოეწვია გერმანია, რომელმაც ნამდვილად გაამართლა თავისზე დამყარებული იმედები და დაიფარა საქართველო და მისი მცხოვრებნი ფიზიკურად და სავსებით განადგურებისაგან.

ინგლისის დელეგაციის მეთაურმა თავის საპასუხო სიტყვაში აღნიშნა რომ, მათ

მოსვლის მიზანი გამოწვეულია მხოლოდ იმ სურვილით, რომ დაეხმარონ კავკასიის პატარა ერებს ანარქიზმისა და უწესოების მოსასპობად და მათ ტერიტორიაზე აღადგინონ წესიერება. ამის შემდეგ მან მოითხოვა ფოთში მყოფ გერმანელთა იარაღის აყრა. კორძაიამ მას უპასუხა, რომ საქართველო არავის დახმარებას საჭიროებს თავის საზღვრებში ანარქიის ჩასაქრობად და საქართველოში არსებობს წესიერება, რომელსაც საქართველოს რეგულიარული ჯარი იცავს, ხოლო რაც შეეხება გერმანელთა იარაღის აყრას, ამის გამო ინგლისის დელეგაციამ უნდა მიმართოს ჩვენს მთავრობას და მხოლოდ მისი ნებართვის შემდეგ შეიძლება დელეგაციის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

კორძაიას სიტყვას დაეთანხმა დელეგაციის უფროსი გერმანელთა იარაღის აყრის შესახებ და აღნიშნა, რომ როდესაც კავკასიის ერების დახმარებას ვლაპარაკობდი, მხედველობაში არ მყოლია საქართველო, სადაც დაცულია წესიერება.

იმავე საღამოს ქალაქმა ვახშამი გაუმართა დელეგაციას. დელეგაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა კერძო საუბარში ის აზრი გაასთქვა, რომ საქართველო ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მას არა მარტო გერმანია, თუ კი საჭირო იქნებოდა სატანაც კი უნდა მოეწვია.

კერძო ბაასშივე დელეგატებმა აღუთქვეს ქართველებს, რომ ისინი შეჰქმნიან საქართველოს საზოგადოების სასარგებლო საზოგადოებრივ აზრს, როგორც თავიანთ სამშობლოში, ისე მოკავშირეთა სახელმწიფოებში და იმედი გამოსთქვეს, რომ მომავალ საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველო მიიღებს თავის დამოუკიდებლობის სანქციას. მეორე დღეს დელეგაცია ბათომს წავიდა.

სანაცვლოდ თქვენდა

სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც მიისწრაფის სოციალიზმისაკენ, ჭეშმარიტ ადამიანობისაკენ, გვიკარნახებს ერთა შორის სოლიდარობას, ყოველ სფეროში სიმტკიცეს, და ახალ[illegible] საფუძველს ახალი შენებით და განდიდებით.

და თუ დემოკრატიზმი მართლაც მოითხოვს სამართლიან გზასა და ჭეშმარიტებას, თუ მართლაც დემოს—ხალხია და კრატოს—მმართველობა, თუ გსურთ მათი ბედ-იღბლის განმტკიცება, თუ გაიხსენებთ ხალხის შვილების—აფიცერთა რაზმის თავდადებას ამ რევოლიუციის დამდეგიდან მაინც, თუ მართლაც პრესა ქებით იხსენიებდა აფიცერთა რაზმის ვაჟკაცობას და თავდადებას სამშობლოსა და თავისუფლების წინაშე, მაშ ამ ქებულ აფიცერთა რაზმიდან დარჩენილ ელემენტებს რა დაუშავებია, რომ ილაჯ-გაწყვეტილნი ქუჩაში დადიან და თავს უფრო იუბედურებენ?

ახალ კანონთა ახალნო წარმომადგენელნო! თქვენ გისწავლიათ და სხვების თვისაც გისწავლებიათ, რომ უნებლიეთ გზა დაბნეულსა, უვარგისსა და ჩამორჩენილს ადამიანს უნდა წამოყენება, გზის ჩვენება, გასწორება და შეწყობა და არა ხელის კვრა.

ეს ცხადზე უცხადესია, რომ ბევრს ორატორებს აუფრთოვანებია მოქალაქეთა გული, მჭერმეტყველურად დაუხასიათებიათ თანამედროვე მომენტი, და მათ კი—მათ,—ყველასგან ათვალწუნებულ „ხაპასში" გასულ აფიცერთ აღუსრულებია ორატორთა ღაღადებანი, არ დაუზოგავიათ თავი, მაგრამ დახე! მრისხანე ბედის რისხვა: მადლობის მაგიერ-ჰანღური, უადგილობა, შიმშილი, გოდება და სხვა.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ გასულ აფიცრებში ბევრი სტუდენტობაა და ამისა გამო ბევრი მოსწყდა თავის დანიშნულებას, სახსარი არა აქვს სწავლა განაგრძოს, სასოწარკვეთილი ხალხში ურცხვად დაიარება, თუ სთხოვს მთავრობას რაიმე ადგილს, „ხვალ მოდით" და ამ ხვალების დასასრულს ბოლო არა აქვს, თვალცრემლიანი ბრუნდება ისევ, ხალხში კი ეჩხუბებიან, უადგილოდ რად დაეხეტებით და ასე, ხალხისთვის კეთილდღეობისათვის დაღვრილი უმანკო სისხლი, გულის ნაღვლად და შხამად გარდაქცევია.

მიხედეთ მათ საქართველოს მოქალაქენო! თქვენ ყოველთვის სხვის მდგომარეობაში შედიოდით და ნუ თუ თქვენ საკუთარ შვილებს გაწირავთ?

ამ ჩამორჩენილ სტუდენტობა აფიცრობას სწამთ რომ ახალ კანონთა ახალი წარმომადგენელნი მათ არ დაივიწყებენ, ეღირსებათ შესაფერისი მდგომარეობაცა და ღირსებაც.

სტუდენტი აფიცერნი, რიცხვით 30 ერთხმად აღიარებენ, რომ ყოველგვარ დაწესებულებულებებში, დაიცავენ სამშობლოისა და თავისუფლების ინტერესებს, მეტად გაიხდიან პირდაპირობას, სოლიდარობას, ჭეშმარიტად შეასრულებენ თავის მოვალეობას და ამით უფრო განაძლიერებენ საქართველოს რესპუბლიკის არსებობას და ვითარებას.

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება?"

ლ. ხორტელი.

ტფილისის მაზრის საერობო ხმოსანთა პირველი ყრილობა

(დასასრული)

დეკემბრის 3-ს, ნაშუადღევის 1 საათზე თავმჯდომარე მამულაშვილი კრებას გახსნილად აცხადებს. შინაგან საქმეთა მინისტრი, ნოე რამიშვილი მთავრობის სახელით მიესალმება კრებას. აღნიშნავს რა საერობო ხმოსანთა მძიმე და ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობას, იმედს გამოსთქვამს, რომ მათი ენერგიული მუშაობით ყოველგვარი დაბრკოლებანი ძლეულ იქნებიან და მთავრობის დახმარებით ერობის საქმეს სასურველ ნიადაგზე დააყენებენ. თავმჯდომარე კრების სახელით მადლობას უძღვნის მიმსალმებელს და ხაზს უსვამს იმას, რომ მთავრობა ერობას მხარს დაუჭერს.

ამის შემდეგ ხმოსანი სალარაძე კითხულობს ექ. რუხაძის მიერ წარმოდგენილ მოხსენებას მედიკო-სანიტარულ საქმის მოწყობის შესახებ მაზრაში.

კრებამ ერთხმად დაადგინა: გაეხსნას გამგეობას 50000 მ. კრედიტი მფრინავი რაზმის შესადგენად და სასწრაფო ზომების მისაღებად მძვინვარე ეპიდემიის წინააღმდეგ.

[illegible] საკითხი არის სასურსათო [illegible] მოწყობა. ამის შესახებ მოკლე მოხსენებას აკეთებს ხმოსანი კიბაიძე, რის შემდეგაც კრებამ დაადგინა: გაეხსნას გამგეობას 30000 მ. კრედიტი სასურსათო საქმის მოსაწყობად.

ხმოსანთა დღიურისა და მგზავრობის მიერ გამოწვეულ ხარჯის შესახებ დ. ჩხეიძემ წარუდგინა კრებას შემდეგი ხარჯთ-აღრიცხვა: დაენიშნოს ხმოსნებს დღიურად სხდომების დროს 30 მანეთი და აუნაზღაურდეს მგზავრობით გამოწვეული ხარჯები.

კრებამ დაადასტურა ეს ხარჯთ-აღრიცხვა. ამით, საღამოს 5 საათზე იხურება კრება.

კრება განახლდა დეკემბრის 4 ს, ნაშუადღევის 1 საათზე.

პირველი საკითხია საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა და წევრებისათვის ჯილდოს დანიშვნა. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის მიერ შემოვიდა წინადადება: დაენიშნოს პრეზიდიუმის წევრებს 1000 მ ჯილდო თვიურად, სოციალისტ-ფედერალისტების ფრაქციისაგან: პრეზიდიუმში არჩეულ ხმოსნებს არავითარი ჯილდო არ მიეცეს. კენჭის ყრის დროს გადის პირველი წინადადება.

პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ხმოსანი ა. ქიაბრიშვილი (ს.-დ.), ამხანაგად ხმოსანი ის. სტურუა (ს.-ფ.) და მდივნად ხმ. ნ. გვანცალაძე (ს.-დ.)

არჩევის შემდეგ ხმოსანმა ქიაბრიშვილმა დაიჭირა თავმჯდომარის ადგილი, როგორც მუდმივმა საბჭოს თავმჯდომარემ.

ის. სტურუამ განაცხადა, რომ ის მეორე სესიის მოწვევამდის უსასყიდლოდ იმუშავებს საბჭოს პრეზიდიუმში.

შემდეგ მოხდა გამგეობის არჩევნები. გამგეობაში შევიდნენ: 4 ს. დემოკრატი და 1 ს.-ფედერალისტი.

თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გარეშე პირი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მდივანი და წევრი ონიაშვილი; წევრებად: ხმოსნები ლ. ასათიანი, ლ. მამულაშვილი, მ. იმხანოვი და ესტატე ავალიშვილი (ს.-ფ.) დასასრულ იქმნა დასახელებული კომისიები: სარევიზიო, ადმინისტრატიული, სასურსათო, სააღგილ-მამულო, სწავლა განათლების, მედიკო-სანიტარული, ტეხნიკური და საფინანსო. თითოეულ მათგანში არჩეულ არიან ხმოსნები, წარმოდგენილი ორივე ფრაქციის მიერ.

ხტ ქ ლი.

ტელეგრაფი სამეგრელოში

თანახმად ფოთის რაიონულ გამგეობის დადგენილებისა სამეგრელოს ფ. ტ. დაწესებულებაში იქნება გაგზავნილი თავმჯდომარე გამგეობისა ფარცხალაძე მოხსენების გასაკეთებლად ფ. ტ. კონფერენციის მუშაობის შესახებ აგრეთვე ყოფილ კომიტეტების სალიკვიდაციოდ, რომელმაც დაბრუნებისთანავე გამგეობას მოახსენა, რომ თითქმის ყველა დაწესებულებაში მოსამსახურეებს ჯამაგირები რამდენიმე თვეა არ მიუღიათ, რის გამო უკანასკნელები იმყოფებიან უკიდურეს მდგომარეობაში, მაგრამ მიუხედავად ამისა ყველა დაწესებულებაში, ზუგდიდის კანტორაშიაც, სადაც ხშირად უთანხმოება იყო უფროსს და მოსამსახურეების შუა, სრული ერთსულოვნებაა და ხელ-ჩაკიდებული განაგრძობენ მუშაობას.

მოისმინა რა ეს მოხსენება გამგეობამ, უცხადებს გულწრფელ მადლობას ყველა ფ. ტ. მოსამსახურეებს სამეგრელოს დაწესებულებისა და სთხოვს ასე ენერგიულად ერთსულოვნად განაგრძონ მუშაობა საქართველოს რესპუბლიკის საკეთილდღეოდ, მასთან იმედოვნებს, რომ მთავრობა მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას მუდამ დაჩაგრულ და დატანჯულ ფ. ტ. მოსამსახურეებს და დაადასტურებს იმ „დოკლადებს". რომელიც იყო კონფერენციის მიერ გამომუშავებული, რათა მოსამსახურეებს დაბოლოს მაინც იმედები სინამდვილედ ქადაექცეთ და შემსუბუქდეს მათი ცხოვრება.

რაიონულ გამგეობის თავმჯდომარე ფ. რცხალაძე. მის ამხანაგი ი. შოთაძე, მდივანი რ. ჩოჩია.

თეატრი და ხელოვნება

პარასკევს, დეკემბრის 6 გაიხსნა სახელმწიფო თეატრში მსახიობთა კავშირის დასის სეზონი დასდგეს ა. ხუმბათაშვილის „ლალატი".

კალამი არ გვემორჩილება რაიმე დასწერო, ისეთს ცუდს და სევდიან ფიქრებს ეძლევი. არ გვქონდა თეატრი, გვყავდა ხეირიანი დასი. შევიძინეთ თეატრი და აღარ გვყავს დასი პარასკევს „ლალატი" ნამდვილი ღალატი იყო ქართული თეატრისა და ხელოვნებისა.

ისინიც ვინც წინათ გვინახავს და ბევრჯერ დავმტკბარვართ ვ. გუნია და ვ. აბაშიძე, ამ საღამოს რაღაც უხეირობას თამაშობდნენ, ბ-ნი გუნია, ეტყობა, ავად იყო. მშვენიერია ანანიას როლში ბ-ნი იმხნელი, მაგრამ თითქოს ანსამბლის დასაცავად, იმასაც უცნაურობა ჩაედინა: ანანურელ გლეხს წითელი წუღები ეცვა!

დანარჩენებისას არაფერს ვიტყვით, რადგან ისინი ჩვეულებრივნი იყვნენ. წინად რომ სხვებს ეს როლები თუსრულებიათ, მისთვის ახლებს არა მიუმატებიათ რა.

არა უშავდა რა ოლღა ლეჟავას გაიანეს როლში. მასსიურ სცენებზე რომ ლაპარაკი მეტია, ვნახოთ, იქნებ სხვა, უფრო ჩვეულებრივ პიესებში მაინც გვიჩვენონ ნამდვილი ხელოვნება.

თეატრი მთლად გაჭედილი იყო ხალხით. ნერვებს უშლიდა მსმენლებს უშველებელი ანტრაქტები, რის გამო წარმოდგენა გვიან გათავდა, მიუხედავად უხეირო წარმოდგენისა ხალხს მაინც მოეწონა „ლალატი", მაგრამ ეს მიეწერება პიესის სიდიადეს და არა მოთამაშეებს.

ახალი

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს. შარშან ქალ. ხაშურში მანდილოსანთა ერთმა ჯგუფმა განიზრახა ადგილობრივ ქალთა წრის დაარსება და ამ მიზნით შეაგროვა საზოგადოების წევრთა შორის 394 მან. 93 კაპ.

მაგრამ სხვა და სხვა მათგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო მათი განზრახვა არ განხორციელდა, რის შემდეგ შემომწირველთა და ინიციატორთა დადგენილებით ზემო აღნიშნული ფული გადაეცა ქართული უნივერსიტეტის ფონდის გასაძლიერებლად.

ინიციატორობდნენ: ქ. ქ-ნი ნატალია ჩიქოვანისა, მართა მანჯავიძისა, ნატალია ყურციანისა, მატრონა გვერდწითელის ასულისა, თებრონია ძნელაძისა, ოლღა ხორბერაძისა და ეკატერინე აბალაკიას მონდობილობით ქ. ძნელაძე.

—

მოქალაქე რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთი საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ საზოგადო კრების დავალებით ბ. ილია პავლეს ძე კაკაბაძეს, რომელმაც სოფ. ცხრუკვეთის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სამკითხველოს განსვენებული ვერა ვარაზაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად ასი მანეთი შემოსწირა. დიდ მადლობას ვუძღვნით აგრეთვე ცხრუკვეთის მომხმარებელი ამხანაგობის „ნუგეში"-ს წევრებს, რომელთაც სამკითხველოს სასარგებლოდ წლიური მოგებიდან 547 მ. გადასდვეს.

სამკითხველოს საპატიო თავმჯდომარე: ის. ვარაზაშვილი. გამგეობის წევრები: ოლღა პავლეს ასული წერეთლისა, დ ტატიშვილი, ანა ხიზაძე.

—

მოქალაქე რედაქტორო! ცხრუკვეთის მომხმარებელი ამხანაგობის „ნუგეში"-ს წევრთა საზოგადო კრების დავალებით გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ბ. ილია გარსევანიძე [illegible] ძეს, რომელმაც ამხანაგობის დუქანს ერთი წლის განმავლობაში უფასოდ დაუთმო ადგილი და მომავლისათვის 9 წლის განმავლობაში სულ მცირე ფასში გადმოგვცა იგი.

ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე დეკ. ი. წერეთელი. წევრები: ანტონ ხიზაძე, დავით ტატიშვილი.

გამომცემელი
ხარიტონ ფურცხვანიძე.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი ს. ბ. ჩუხაძე იღებს ხირურგიულ ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 15—77. 300

ექიმი კონსტანტინე ბარბილის ძე ლორთქიფანიძე (ბაქოდან) მიიღებს შინაგან სნეულობის და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ხაიერების ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19. 2512

ექიმი ვ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118

ექიმი ლ. ა. ხარაძე [illegible] ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87 აუდიტორიის ახლოს. 2101

ექიმი ქალი რ. ს. [illegible] მედიცინის დოქტორი [illegible] უნივერსიტეტისა და კლინიკის [illegible] ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და [illegible] სიფილისის წამლობა. ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 სას. საათამდე. მიხაილის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—76. 2806

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კუჭისა და სხვ. შინაგანი სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. [illegible] ქ. № 11. 2245

ექიმი ნ. ლ. წულაძე (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვების, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სამხედრო აფთიაქის გვერდით. 908

ექიმი ი. ბ. ბარნოვი. მიიღებს ნერვიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოვ" პირდაპირ № 8. 301

ექიმი ქ. თუმანიშვილი, განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914"-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6 8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი გ. ქ. აბაშიძე შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, ასუნთქვის ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. [illegible] და წამლობა [illegible] სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$—6 საათამდე. [illegible] ქ. № 26. ტელ. 5—86. 1279

ექიმი გ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. გრიბოედოვის ქ. № 6.

თვალის სამკურნალო [illegible]
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში, თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 ([illegible] კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები [illegible] პანსიონითაც მიიღებიან. 620

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი
წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. [illegible] მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულისა, კუჭისა და ჰაქებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 3329

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი
მედ ცინის დოქტორის
გ. მერაბოვისა
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).
მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ძვლების ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), კუჭისა და ჰაქებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92 ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.
საწყლებს უფასოდ. 1840

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ადამიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.
ა. მ. რუხაძე—შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი 9—11
მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ეოლის) 11—12 ს.
ი. ა. ლოზარევი—საბებიო საშვილოსნოს ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა ანეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. იმხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხათრიძე—მიკრობიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა ს. დაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აბანო და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ვეზირისის მოედანთან, ტელეფონი № 9—8
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. 2178

შაქრო ნაზარბეგიანის კერძო სამკურნალო.
(დაარსებული 1880 წელს)
[illegible] ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით: 606° და 914 11—2 ს.
ა. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილისი, ავადმ.)
ს. ბ. აგაპაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმ.
მ. გ. ამირხანიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
დ. ა. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
მ. მ. მენიამინოვი: 10—12 ს. ყურის ყელისა და ცხვირის სნეულებანი
ს. გ. ავეტიხიანი 11—12 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.
ა. ა. ტერ-გრიგორიანცი 12—1 ს. შინაგანი.
რჩევა-დარიგება 3 მან. [illegible] უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი [illegible] დოქტორი ა. ნავასარდიანი

მმ. ვეფხვაძეების
ლიმონადის ქარხნებში მზადდება სხვა და სხვა ხილეულის წყლები. ვიღებთ შეკვეთას პროვინციებიდან და რკინის გზის ბუფეტებიდან და ადგილობრივ მედუქნეებისაგან აქვე მზადდება საზამთრო კვასი პურისა და ხილეულობისა. ამ ღვინის სიძვირის დროს ხელმის წდომ ფასებში, იყიდება აგრეთვე ნამდვილი ღვინის ძმარი გოგოლის და ბატარეის ქ. კუთხე 52—24. 2546

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე", ბარონის № 14. (ვალოვანის ქ 14).